

# საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო

## სასწავლო უნივერსიტეტი

### სამაგისტრო პროგრამა

<b>პროგრამის სახელწოდება</b>	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
<b>პროგრამის ხელმძღვანელი</b>	ასოცირებული პროფესორი ქეთევან ბერიძე ელ. ფოსტა ketevanberidzeedu@gmail.com
<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრი
<b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით</b>	120 კრედიტი
<b>პროგრამის შემუშავების თარიღი</b>	30.10.2013 წ.
<b>სწავლების ენა</b>	ქართული ენა
<b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და საქმიანობის განსაზღვრაზე</b>	
<p>სამაგისტრო პროგრამის მიზანია უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, მოამზადოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე, ღრმა თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნაზე დამყარებული კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრები ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მიმართულებით, რომელსაც ექნება ცოდნა, უნარ-ჩვევები და გამოცდილება დაფუძნებული თეორიულ, პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებზე, შეეძლება კომპეტენტურად წარმართოს სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობა ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში.</p>	
<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</b>	
<p>სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარებისა და სპეციალობაში გასაუბრების გავლის შემდეგ.</p>	
<b>სწავლის შედეგი</b>	<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b> <b>კურსდამთავრებულს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ექნება დარგის შესაბამისი ფუნდამენტური მეცნიერებების ღრმა ცოდნა.</li> <li>▪ ექნება ფიზიკური მედიცინასა და რეაბილიტაციის დარგში კვლევის მეთოდებისა და უახლესი ტექნოლოგიების ფუნდამენტური ცოდნა და უახლესი მეცნიერული მიღწევების გამოკვეთის უნარი;</li> <li>▪ ეცოდინება სპორტის ბიოქიმია, ფიზიოლოგია და სპორტული დატვირთვის</li> </ul>

ბიოდინამიკა;

- ეცოდინება სპორტსმენთა ტრავმული დაზიანებების დროს პირველადი გადაუდებელი დახმარების პრინციპები, ტრავმული დაზიანებების მიმდინარეობის თავისებურებები, ტრავმის შემდგომ პერიოდში ფიზიკური მეთოდებით რეაბილიტაციის პრინციპები; ტრავმული დაზიანებების შესაძლო გართულებები და მათი პრევენციის პრინციპები;
- შეეძლება პროფესიული პასუხისმგებლობის შეცნობა და პროფესიული ეთიკის ნორმების მაგალითის მოყვანა.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**  
**კურსდამთავრებულ სშეუძლია:**

- თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დაუფლებით კვლევის შედეგების დამუშავება, მონაცემთა ბაზის შექმნა;
- ტრავმის შემდგომი აღდგენითი ფიზიკური დატვირთვის შემუშავება;
- სპორტული დატვირთვის ინტენსივობის შემუშავება ასაკობრივი და გენდერული თავისებურებების გათვალისწინებით;
- სპორტსმენის ოპტიმალური დატვირთვის შემუშავება, რომელიც დაზოგავს სპორტსმენის ჯანმრთელობას;
- სპორტსმენის ფსიქო-ფიზიკური ძალების მობილიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობს სპორტულ მიღწევებში;
- სპორტული ინვენტარის შესაბამისად (რელევანტურად) გამოყენება უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით;
- ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური დატვირთვის გათვალისწინებით სპორტსმენის კვების რაციონის ინდივიდუალურად შემუშავება;
- სპორტული წვრთვნის გეგმის შემუშავება, ორგანიზება, სპორტული დატვირთვის აღრიცხვა და კონტროლი;
- სხვადასხვა პათოლოგიების შემთხვევაში სარეაბილიტაციო ღონისძიებების სწორად შერჩევა;
- უსაფრთხოების წესების დაცვა, ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემების იდენტიფიცირება და სიტუაციის მართვა კომპეტენციის ფარგლებში.

**დასკვნის უნარი**

**კურსდამთავრებულს შეუძლია:**

- იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება;
- სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე რეფერატის/მიმოხილვის წერა;
- კვლევის პროცესის წარმართვა, შემოწმება-შეფასება, არგუმენტირებული დასკვნის გამოტანა და ანგარიშის შედგენა;
- ინფორმაციული მონაცემების ანალიზი, შეფასება და დასკვნის გამოტანა.

### კომუნიკაციის უნარი

#### კურსდამთავრებულს შეუძლია:

- პროფესიულ დისკუსიაში მონაწილეობა და გამოკვლევის საფუძველზე მიღებული შედეგის წერილობითი ანგარიშის მომზადება და პრეზენტაცია;
- დასკვნების საჯარო წარდგენა. მათი დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით, როგორც სპეციალისტებთან ისე არა სპეციალისტებთან.
- ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, კომპიუტერში სრული კლინიკური ჩანაწერების, ინფორმაციის შენახვა და გამოყენება.

### სწავლის უნარი

#### კურსდამთავრებულს შეუძლია:

- სწავლის შემდგომი ეტაპისთვის მზაობას და შემდგომი გაგრძელებისთვის საჭიროებების განსაზღვრას.

### ღირებულებები

- მონაწილეობას მიიღებს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროსა და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში;
- ნებისმიერ სიტუაციაში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად;
- გააჩნია პროფესიული პასუხის მგებლობა, შეეძლება პროფესიული ეთიკის დაცვა, აცნობიერებს მის მიერ არჩეული პროფესიის ღირებულებებს;
- შეძლებს პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკებასა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობას;
- მკაცრად იცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს პროფესიული საქმიანობის წარმოების პროცესში.

### სწავლების ფორმატი

- ლექცია, სმინარი, პრაქტიკული მეცადინეობა.

### სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

- მასალის ზეპირი პრეზენტაცია;
- შუალედური გამოცდა;
- კონსულტაცია.
- სემინარი
- დასკვნითი გამოცდა;
- ბლიც გამოკითხვა;
- ქვიზი;
- დებატები/დისკუსია;
- პრობლემაზე დაფუძნებული დისკუსია;
- პრაქტიკული უნარ-ჩვევების პრეზენტაცია;
- ტესტი;

- მოძიებული სასწავლო/ინოვაციური მასალის განხილვა;
- საკუთარი სამუშაოს კრიტიკული შეფასება;
- სამაგისტრო ნაშრომი.

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, 60 ქულა - სემესტრული შეფასება, 40 ქულა დასკვნითი გამოცდა. გამოცდაზე გასვლის უფლების მოპოვებისათვის სტუდენტს, სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ქონდეს მინიმუმ 11 ქულა.

#### შეფასების სისტემა უშვებს:

##### ა) ხუთისახის დანართით შეფასებას;

- ა.ა) A – ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ა.ბ) B – ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- ა.გ) C – კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- ა.დ) D – დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა.ე) E – საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%.

##### ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

FX – ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

F – ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაგისტრანტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

#### სემესტრული შეფასების კომპონენტებია:

მასალის ზეპირი პრეზენტაცია;

ალბომის წარმოება;

ბლიც გამოკითხვა;

ანალიზი;

ლაბორატორიული სამუშაო;

პრაქტიკული ნაწერების დემონსტრაცია;

ქვიზი;

**შუალედური გამოცდა:** ტარდება ტესტის სახით, სადაც მოცემულია 20 კითხვა, თითო საკითხი ფასდება თითო ქულით.

**დასკვნითი გამოცდა:** ტარდება ტესტის სახით, სადაც მოცემულია 40 კითხვა, თითო საკითხი ფასდება თითო ქულით.

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების შემდეგი კრიტერიუმები:**

- ნაშრომის აქტუალობა და საკვლევი საკითხის გარშემო არსებული მასალების შესწავლის სიღრმისეულობა - 15 ქულა;
- კვლევისა და ანალიზის უნარი, სამეცნიერო სიახლე - 15 ქულა;
- ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა - 10 ქულა;
- ნაშრომის პრეზენტაციის ხარისხი - 40 ქულა;
- დასმულ კითხვებზე, შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე გაცემული პასუხის სიზუსტე და სიღრმისეულობა - 20 ქულა.

**დასაქმების სფერო**

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სექტორში, სპორტულ ფედერაციებში, კლუბებში, გამაჯანსაღებელ და ფიტნეს კლუბებში, ჯანდაცვის ნებისმიერი ობიექტებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში. მაგისტრანტი მომზადებული იქნება დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობისათვის.

**პროგრამის სტრუქტურა**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არის 2 წლიანი. სწავლება ორი წლის განმავლობაში მოიცავს 120 კრედიტს, 2 სასწავლო კურსს, რომელიც შედგება ოთხი სემესტრისაგან; სემესტრში 30 კრედიტი; წელიწადში 60 კრედიტი.

1კრ=25საათი

ერთი აკადემიური წელი : 38კვირა.

სემესტრის ხანგრძლივობა: 19კვირა.

ყველა სახის სასწავლო მუშაობა განისაზღვრება ასტრონომიული საათით (60 წუთი).

**საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები**

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის გამოიყენება საუნივერსიტეტო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი (ჩართული ინტერნეტ ქსელში); თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის\_სალექციო აუდიტორიები. პროგრამის სრულფასოვნად ათვისებისათვის ხელშეკრულების საფუძველზე ვთანამშრომლობთ:

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი;

საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციის და სამკურნალო ტურიზმის ს/პ ცენტრი.

**სწავლის გაგძელების შესაძლებლობა**

მაგისტრს შეუძლია სწავლა და კვლევითი მუშაობა გააგძელოს დოქტორანტურაში.

პროგრამა

სასწავლო კურსები	სტატუსი (სავალდებულო / არჩევითი)	ECTS კრედიტი/ სემესტრი	საკონტაქტო საათების რაოდენობა	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ფიზიკური მედიცინა და საექიმო კონტროლი	ს	6 (I)	47	X	X	X	X	X	
დინამიური ანატომია	ს	6 (I)	47	X	X	X	X	X	
მეცნიერული კვლევის მეთოდები	ს	6 (I)	47	X	X	X	X	X	
სპორტის ბიოქიმია	ს	6 (I)	47	X	X	X	X	X	X
სპორტის ფიზიოლოგია	ს	6 (I)	47	X	X	X	X	X	X
ფიზიკური მედიცინა და საექიმო კონტროლი	ს	6 (II)	47	X	X		X		
ოკუპაციური თერაპია	ს	6 (II)	47	X	X	X	X	X	
ადაპტური სპორტი	ს	6 (II)	47	X	X		X	X	
ფიზიკური რეაბილიტაცია და სამკურნალო ვარჯიშები	ს	6 (II)	47	X	X	X	X	X	
კოგნიტური ფუნქციების დარღვევათა რეაბილიტაცია	ს	6 (II)	47	X	X	X	X	X	
ფიზიოთერაპია	ს	6 (III)	47	X	X		X	X	
სპორტის ფსიქოლოგია	ს	6 (III)	47	X	X	X	X	X	X
ბალნეოლოგია, კურორტოლოგია	ს	6 (III)	47	X	X	X	X	X	X
სპორტული ნუტრიციოლოგია და დიეტოლოგია	ს	6 (III)	47	X	X	X	X	X	X
პრაქტიკა სპეციალობაში	ს	6 (III)	47	X	X	X	X	X	
პრაქტიკა სპეციალობაში	ს	10 (IV)	180	X	X	X	X	X	X
სამაგისტრო ნაშრომი	ს	20 (IV)	90	X	X	X	X	X	X